ხელშეკრულება №60

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ)

ქ. მცხეთა 23 დეკემბერი, 2020 წ.

ერთი მხრივ, საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი სახელმწიფო რწმუნებულის პირველი მოადგილის მანანა ნარიმანიძის სახით, მეორე მხრივ, ი.მ. ხატია მჭედლიშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. CPVკოდი: 30200000 (შემდგომში–საქონელი) შეძენა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

№	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება
1	USB კაბელი	ცალი	1	15,00	15,00
2	HDM კაბელი	ცალი	2	15,00	30,00
3	კომპიუტერის ვინჩესტერი 500გბ HDD	ცალი	1	90.00	90.00
4	იუპიესის ელემენტი	ცალი	3	35,00	105,00
5	უკაბელო მაუსი	ცალი	1	15,00	15,00
6	კომპიუტერის ქულერი 775 sk	ცალი	1	15,00	15,00

სულ: 270,00 ლარი

2. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორების ფორმა და ვადები.

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის საერთო ღირებულება შეადგენს **270,00 (ორას სამოცდაათი ლარი და 00 თეთრი)** ლარს.

2.2. „შემსყიდველი“ ანაზღაურებას განახორციელებს “მიმწოდებლის” მიერ წარმოდგენილი ანგარიშფაქტურის მიღებიდან 10 დღის ვადაში.

2.3. „მიმწოდებელთან“ ანაზღაურება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით ეროვნულ ვალუტაში.

3. მიღება-ჩაბარების წესი.

3.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით მასზე „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი უფლებამოსილი პირის ხელმოწერებით.

3.2.“შემსყიდველის“ მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სახელმწიფო რწმუნებულის აპარატის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ელდარ გულბათაშვილი.
3.3. „მიმწოდებლის“ მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ი.მ. ხატია მჭედლიშვილი.

4. საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი.

4.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ადგილია ქალაქი მცხეთა დავით აღმაშენებლის ქ. №73.
4.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება განხორციელდება 2020 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით.

5.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი;
ბ) ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ნაკლის გამოსწორება ან ნაკლის გამო ხელშეკრულების მოშლა;
5.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;
5.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოითხოვოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში;
5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში.
ბ) შემსყიდველს მიაწოდოს ნივთობრივი ნაკლისგან თავისუფალი ნივთი. თუ ნივთი აღმოჩნდება ნაკლის მქონე, მიმწოდებელი ვალდებულია გამოასწოროს ეს ნაკლი, ან შეცვალოს ნივთი საამისოდ აუცილებელ ვადაში.
გ) აანაზღაუროს ნაკლის გამოსწორებისთვის აუცილებელი ხარჯები, მათ შორის, ტრანსპორტირების, გზის, სამუშაოს შესრულების და მასალის ღირებულების ხარჯები.

6. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1.ფორს-მაჟორული პირობების გარდა, „მიმწოდებლის” მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ზიანის მიმყენებელი ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.
6.2.„შემსყიდველი” უფლებამოსილია, საქონლის ან მომსახურების მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დააკისროს მიმწოდებელს საურავი, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02% პროცენტის ოდენობით.

7. ხელშეკრულების ცვლილებების შეტანა და შეწყვეტა.

7.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა ან/და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
7.2.ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან/და შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8. დავების გადაწყვეტის წესი.

8.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. ხელშეკრულების ძალაში შესვლა.

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2021 წლის 31 მარტის ჩათვლით.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„მიმწოდებელი“
ი.მ. ხატია მჭედლიშვილი
ს.კ. 24001044420
ლიბერთი ბანკი
ბანკის კოდი: LBRTGE22
ა.ნ.: GE33LB0112111045731000

ი.მ. ხატია მჭედლიშვილი

____

„შემსყიდველი”
საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია
მის.:ქ.მცხეთა, აღმაშენებლის ქ.N73
ს.კ. 236032994
სახელმწიფო ხაზინა TRESGE22
ხაზინის ანგარიში №GE24NB0330100200165022

სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე

მანანა ნარიმანიძე

____

ADMINISTRATION OF STATE REPRESENTATIVE IN DUSHETI TIANETI MTSKHETA AND KAZBEGI MUNICIPALITIES

Digitally signed by ADMINISTRATION OF STATE REPRESENTATIVE IN DUSHETI TIANETI MTSKHETA AND KAZBEGI MUNICIPALITIES
DN: cn=ADMINISTRATION OF STATE REPRESENTATIVE IN DUSHETI TIANETI MTSKHETA AND KAZBEGI MUNICIPALITIES, 2.5.4.97=NTRGE-236032994, o=••••••••••• ••••••••••••••••••••••••• ••••••••• (•••••••,••••••••, ••••••• •• ••••••• ••••••••••••••••)••••••••• •••••••••• •••••••••••••,
c=GE
Date: 2020.12.23 15:09:33 +04'00'